ფ-18

დაუსწრ. პედინსტიტუტი.

პროფ. გ. ახვლედიანი.
დოც. არ. ჩიქობავა.

ენისა და ლიტერატ. განყოფილება.
I კურსი.

# ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა.

ფ-18

განაკვეთი მეორე.

მეცნიერული გრამატიკის (ენათმეცნიერების)

დოც. არ. ჩიქობავა.

ბიბლიოთეკა

ტფილისი — 1932 წ.

# მეცნიერული გრამატიკის (ენათმეცნიერების) დარგები. მეცნიერული და სასკოლო პრაქტიკული გრამატიკა.

„კვლევა-ძიება უნდა ჩასწვდეს მასალას დეტალურად, გაანალიზიროს მისი განვითარების სხვადასხვა ფორმები და აღმოაჩინოს მათი (ფორმების) შინაგანი კავშირი. მხოლოდ ამ მუშაობის ჩატარების შემდეგ შეიძლება სათანადოდ იქნეს გადმოცემული ნამდვილი მოძრაობა", — ამბობს კ. მარქსი „კაპიტალის" მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, როცა ის განმარტავს, რით განსხვავდება გადმოცემა-დალაგების წესი კვლევა-ძიების წესისაგან და როცა ის არკვევს საკითხს, რაში მდგომარეობს მისი, დიალექტიკური მეთოდი.

ეს სიტყვები მთელი პროგრამაა მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდოლოგიისა მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვსურს გავამახვილოთ ყურადღება დებულების იმ ნაწილზე, რომელიც ამბობს — „კვლევა-ძიება უნდა ჩასწვდეს მასალას დეტალურად, გაანალიზიროს მისი განვითარების სხვადასხვა ფორმები და აღმოაჩინოს მათი შინაგანი კავშირი"... ეს პირველი და მიუცილებელი პირობაა მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისის გამოყენებისა სპეციალურ სამეცნიერო დისციპლინაში... მხოლოდ მაშინ, თუ იქნება დაცული ეს პირობა, არის შესაძლებელი ფრ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ „დიალექტიკის კანონები დავძიოთ ბუნებაში, გამოვიყვანოთ მისგან და არა თვითნებურად ჩავჩაროთ მასში" (ანტი დიურინ-